



ქობულეთის მუნიციპალიტეტის

პრიორიტეტების დოკუმენტი

2022-2025 წლები

შედეგები

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ..... 3

ისტორია.....	3
მდებარეობა.....	3
ფართობი.....	3
გეოგრაფია.....	4
მმართველობის ორგანოები.....	5
მოსახლეობა.....	6
ეკონომიკა.....	6
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.....	6
საჯარო დაწესებულებები.....	6
ღირსშესანიშნაობები.....	6
ბიუჯეტი	7
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	7
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2020-2025 წლებში	7
შემოსულობები	7
გადასახდელები.....	8
ბიუჯეტის ბალანსი.....	9
2020-2021 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა.....	10
2020 წლის ბიუჯეტის შესრულება.....	12
2021 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	24
თავი III. ქობულეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში	35
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	36
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	46
განათლება	49
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.....	52
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	60

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

ქობულეთის მუნიციპალიტეტი შედის აჭარის არ-ში. ესაზღვრება აჭარის ხელვაჩაურის, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტებს, გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს და შავ ზღვას. მუნიციპალიტეტში, 711.8 კვ.კმ-ზე, 1 ქალაქში, 2 დაბასა და 52 სოფელში 74.8 ათასი კაცი ცხოვრობს. მოსახლეობის სიმჭიდროვე მუნიციპალიტეტში 1კვ.კმ.-ზე -105.2 კაცია. მოსახლეობის 97.1% ეთნიკურად ქართველია. მოსახლეობის 51,61% - ქალია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 75% სოფლად ცხოვრობს. დღეს დღეობით შეუძლებელია განისაზღვროს

და შეფასდეს მიგრაციის ზუსტი პროცესები ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჭრილში, რადგან მუნიციპალურ დონეზე არმ იმდინარეობს მიგრაციული პროცესების მონიტორინგი.

მდებარეობა

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ქალაქი ქობულეთი, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან - თბილისიდან დაშორებულია 347 კმ-ით (5სთ. და 9 წუთის სავალი დროით). აჭარის რეგიონის ცენტრიდან, ქალაქ ბათუმიდან 28 კმ-ით, (0.30 საათი სავალი დროით), თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 361კმ-ით, (5.40 საათი სავალი დროით), ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 94.6 კმ-ით (1.40 სთ. სავალი დროით), ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან 34.5კმ-ით, (0.45 საათი სავალი დროით). უახლოესი რკინიგზის სადგური ქალაქის ცენტრიდან 1.80 კმ-ით, (2 წუთის სავალი დროით). ქობულეთის მუნიციპალიტეტზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები. საერთაშორისო მნიშვნელობის „სენაკი-ფოთი-სარფის“ საავტომობილო გზის სიგრძე 26 კმ-ია.

ფართობი

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოიყენება 21 170 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც შეადგენს მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 29,4%-ს. მუნიციპალიტეტში არის სამი დაცული ტერიტორია - ქობულეთის დაცული ტერიტორია (ისპანის ტორფნარი), კინტრიშის დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკი. სულდაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 30252 ჰექტარს.

გეოგრაფია

ქობულეთის განვითარების მამოძრავებელ დარგებად მიიჩნევა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. ბოლო წლებში შეიმჩნევა მეწარმე სუბიექტების რაოდენობის ზრდა, რასაც ხელი შეუწყო სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებმა, რომლებიც ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მათ დაფინანსებასა თუ სხვაგვარ მხარდაჭერას გულისხმობს, განსაკუთრებით მიკრო და მცირე ბიზნეს სუბიექტებზე.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, მუნიციპალიტეტების ჭრილში, მცირეა, რთულია ნათელი სურათის დანახვა მუნიციპალიტეტებისთვის. სტატისტიკური მონაცემებით 2017 წ.-ს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მშპ-ს მთლიანი ოდენობა 3367.2 მლნ ლარია, 1 სულ მოსახლეზე მშპ 3894.1 აშშ დოლარი. დასაქმებული ადამიანების 42% ბიზნეს სექტორზე მოდის (70 100 კაცი). სულ საქართველოში 748677 ბიზნეს სუბიექტია რეგისტრირებული, აქედან აჭარაში - 66 336, ქობულეთში კი 10 270. ცხრილი N1-ის მიხედვით ქობულეთში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების მხოლოდ 24%-ია აქტიური, მათ შორის კი უმრავლესობა მცირე და საშუალო ბიზნესია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო რაოდენობა შეადგენს 19 552 ჰა-ს. მათ შორის მრავალწლიანი კულტურებისთვის 8 635 ჰა, სახნავი 2 229 ჰა, სათიბი 302 ჰა, 6 650 ჰა სამოვარი დანასვენნი 1 736 ჰა. მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა შეადგენს 18100, ცხვარი და თხა -100 სული, ღორი - 785, ქათამი 57 178 ფრთა, ფუტკრის 8 500 მდეოჯახი, საკალმახე 10 ერთეული.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ორი სამექანიზაციო ცენტრი ამხანაგობა „ხინო“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მექანიზატორი“, რომელთა მფლობელობაშიც თანამედროვე ტიპის ტრაქტორი და სხვადასხვა ტიპის საწარმო მოწყობილობა შედის.

ბოლო წლების მონაცემებით ქობულეთის მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორი ერთ-ერთი სწრაფადმზარდი მიმართულებაა. გასულწლებთან შედარებით რეგიონის სამომხმარებლობა ზარზე ფართოდ არის წარმოდგენილი ქობულეთის აგრო სასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქცია. გაზრდილია საექსპორტო ბაზრების არეალი, მცირე და საშუალო სიმძლავრის გადამამუშავებელი საწარმოების რიცხვი. გაზრდილია დარგში განხორციელებული უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოცულობა.

მეცეტრუსეობა: მისი საერთო ფართობი მუნიციპალიტეტში 3 760 ჰექტარია, რომელთაგან 3 250 ჰა, მანდარინია, 400 ჰა. ფორთოხალი და 110 ჰა. ლიმონია. იგი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ამ დარგის შენარჩუნება, განვითარებასა და მოვლა-მოყვანისა და შენახვა-გადამამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ხელს უწყობს საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით გაეროს, ევროკავშირის, USAID-ისა და სხვათა მიზნობრივი პროგრამების

განხორციელება. დღეისათვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მეციტრუსეობის დარგში დასაქმებულია 13 800 ფერმერი.

მეჩაიობა: დღეისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია დახლოებით 350 ჰა-მდე ჩაის პლანტაცია. 2013 წელს წარმოებული იქნა 123 ტონა ლაო ჩაისა და 902 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რომელთა ძირითადი ნაწილი ექსპორტირდება შუა აზიის ქვეყნებსა და მონღოლეთის რესპუბლიკაში. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიწის ბალანსით ირიცხება 2000 ჰა ჩაის პლანტაცია, საიდანაც რეაბილიტაციას ექვემდებარება 400 ჰა. დარჩენილი ჩაის პლანტაციის უმეტესობა მიგდებული და ეკალ-ბარდითაა დაფარული.

თხილის კულტურა: თხილის კულტურას დღეისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების - 3 719 ჰა ფართობი უჭირავს. საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 0,9- დან 1,4 ტონამდე მერყეობს. დასავლეთ საქართველოში და მათშორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2018 წელს თხილის მოსავლის 60-70% დაზიანდა მავნებელ-დაავადებების უარყოფითი ზემოქმედების შედეგად. კერძოდ თხილის სოკოვანმა და ბაქტერიულმა დაავადებებმა, ასევე აზიური ფაროსანას უარყოფითმა ზემოქმედებამ გამოიწვია მოსავლის მნიშვნელოვანი დანაკარგები დაფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბოლო წლებში ახორციელებს ექსტენციის (სწავლება-კონსულტურება) უფასო სერვისების მოწოდებას სავლელ პირობებში მათ შორის მეთხილე ფერმერებისთვის. ყოველივე ამასთან ერთად ამ დარგის განვითარების მასტიმულირებელია ბოლო წლებში და განსაკუთრებით მიმდინარე წლისათვის თხილის შესასყიდი ფასების ზრდა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ფერმერთა დაინტერესებას ამ დარგით და შესაბამისად თხილის კულტურის ფართობებს.

მოცვი: ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დონორი ორგანიზაციების, საქართველოსა და აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროების ხელშეწყობითა და მხარდაჭერით დაიწყო მოცვის სასოფლო-სამეურნეო ჯიშების გაშენება მოყვანა. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში 7 ჰა-მდე მოცვის სამრეწველო პლანტაცია არსებობს, რომელთაგან 6 ჰა უკვე მოსავლიანია, ხოლო 1 ჰა-მდე ახალი ნარგაბაა. მოსავლიანი მოცვის პლანტაცია 6 წლის წინ გააშენა სოფელ ცეცხლაურში 6 ჰა ფართობზე ს.ს. „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით კოოპერატივ „გიოს“ 2014 წელს გაუშენეს 0.5 ჰა მოცვის პლანტაცია, ანუ 1 650 ძირი მოცვის ნერგი. ასევე-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აგრო სერვის ცენტრის“ სადემონსტრაციო ნაკვეთზე გაშენებულია 3 000 კვ. მეტრი მოცვის პლანტაცია, სადაც ფერმერებს შეუძლიათ გაეცნონ და დაეუფლონ მოცვის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარის არ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ეტაპზე მოცვის ბადის გაშენება ფინანსდება სრულად. თანდათან მოცვის კულტურა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სულუფრო მისაღები ხდება, რაც სამომავლოდ ამ კულტურის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებას და საწარმოო პროცესში ჩართვას შეუწყობს ხელს.

მეფუტკრეობა: დღევანდელი მდგომარეობით მუნიციპალიტეტში 8 507 ფუტკრის ოჯახია და 400 მეფუტკრე ფერმერი. თავლის წარმოება შეადგენს საშუალოდ 120 000 კგ, რაც მუნიციპალიტეტის მოთხოვნილებისათვისაც არ არის საკმარისი. ბოლო წლებში მეფუტკრეობის ხელშეწყობის და განვითარების მიზნით აჭარისა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მეფუტკრეებს თანადაფინანსების პრინციპით გადაეცათ 650 ცალი და დაბლანტის ტიპის პოლის ტიროლის მასალისგან დამზადებული სკები, რომელიც თავისი აღჭურვილობითა და მუშაობის პრინციპით მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობაშია. გარდა ამისა მეფუტკრე ფერმერებს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გადაეცათ 7 ცალი თავლის სახდელი ციბრუტი. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფუტკრის გამოზამთრების ხარისხი და გაზარდა ღალიანობისგა მოსავლიანობა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შრომის უნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს საერთო რაოდენობის 66.3%-ს. ქალაქში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილი 20.4%-ია, ხოლო სოფლად - 14.6%. დღესდღეობით მუნიციპალიტეტის წინაშე ისევ რჩება გამოწვევად შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების არ არსებობა. კერძო სექტორს უჭირს სასურველი კადრების მოძიება.

დასაქმების ძირითადი მოთხოვნა ტურიზმის სექტორზე მოდის, ასევეა მოთხოვნა სოფლის მეურნეობის დარგების მიმართულებით. ბოლო დროს გაიზარდა მოთხოვნა მშენებლობის მიმართულებით.

ქობულეთში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“, რომელიც აქტიურად ზრუნავს კადრების გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე. კოლეჯი თანამშრომლობს კერძო სექტორთან და ორიენტირებულია იმ მოთხოვნებზე, რომელსაც კერძო სექტორი აყენებს შრომის ბაზარზე. დუალური სწავლება,

რომელიც წარმოადგენს კოლეჯის თანამედროვე მიდგომას, ხელს უწყობს კადრების გაჯანსაღებას და კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტურობის ზრდას. კოლეჯში 30-მდე პროფესიების დაუფლებაა შესაძლებელი.

პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით აქტიურად საქმიანობს აჭარის არ დასაქმების სააგენტო, რომელიც დაინტერესებულ პირებს უფასოდ სთავაზობს გადამზადების პროგრამებს, ამასთან არეგისტრირებს სამუშაოს მაძიებელთა ბაზაში. სააგენტოს ბაზაში, 2012 წლიდან დღემდე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დარეგისტრირებულია 2546 ადამიანი, საიდანაც სააგენტოს გავლით 2018 წელს 146 (88 ქალი, 58 კაცი), ხოლო 2019 წელს 151 (111 ქალი, 40 კაცი) ადამიანი დასაქმდა.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 33 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 18 მაჟორიტარული სისტემით. წარმომადგენლობით ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია; საკრებულოს აგრარულ საკითხთა კომისია; საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია; საკრებულოს იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია და საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისია. ქობულეთის მუნიციპალიტეტის იხვეე როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტის არმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არცეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი არმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის (სამსახური) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არა კომერციული იურდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს -ს მეშვეობით

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 21 ადმინისტრაციულ ერთეულს - ტერიტორიულ თემშია თავმოყრილი, საიდანაც ერთი ქალაქია (ქალაქი ქობულეთი), ორი სადაბო (ჩაქვი და ოჩხამური) და 18 სასოფლო თემი, (ალამზარი, აჭყვისთავი, ბობოყვათი, გვარა, დაგვა, ზენითი კვირიკე, ლეღვა, მუხაესტატე, საჩინო, ქაქუთი, სოფელი ქობულეთი, ჩაისუბანი, ციხისძირი, წყავროკა, ჭახათი, ხალა, ხუცუბანი).

მოსახლეობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 71 800 კაცია, აქედან ქალაქ ქობულეთში 28 500 და სოფლად 43 300 ადამიანი ცხოვრობს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 1.93%, ხოლო რეგიონის 20.23 შეადგენს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2021 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)
სულ საქართველო	3,728,600	69,700
აჭარა	354,900	2,919
მუნიციპალიტეტი	71,800	711.8
პროცენტი საქართველოსთან	1.93	1.02
პროცენტი რეგიონთან	20.23	24.39

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 13,150 ათასი პენსიონერი. 4 260 ოჯახი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე.

ეკონომიკა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი საშუალებას იძლევა მეციტრუსეობის, მეჩაიეობის, ხურმის, თხილის, აქტინიდიის, ფეიხოსა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. მათთან ერთად მოსახლეობა ქობულეთის მუნიციპალიტეტში აწარმოებს ერთწლიან კულტურებსაც - (სიმინდი, ლობიო, პომიდორი, კიტრიდასხვა), მისდევს მეფუტკრეობას და მესაქონლეობას. მოსახლეობის 75 % სოფლად ცხოვრობს და აგრარულ სექტორშია დასაქმებული.

ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, ქობულეთის ცნობილია მეციტრუსეობის მხარედ, აქ არის განვითარებული მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, თხილის კულტურა, მოცვი და მეფუტკრეობა:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თბილისი ქობულეთი სარკინიგზო ხაზის საბოლოო პუნქტი დაშორებულია 336.04 კმ-ით.

საჯარო დაწესებულებები

- 49 საჯარო სკოლა;
- 29 საბავშვო ბაღი;
- 9 კულტურის სახლი;
- 1 ბიბლიოთეკა;
- 5 მუსიკალური სკოლა;
- 2 მუზეუმი;
- ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა;
- ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი

ღირსშესანიშნაობები

აჭარის ტერიტორიის დაახლოებით 13%-ი დაცულ ტერიტორიებს, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებს უკავიათ. მათი უმრავლესობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის, რომელიც გამოირჩევა ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით. ქობულეთის მუნიციპალიტეტი უნიკალურია იმიტაც, რომ აქ საოცარი შერწყმა აფიჭვნარების, პარკებისა და ზღვის. პლიაჟი ქობულეთის მთელ ზღვისპირა ზოლს იკავებს. პარკები და დაცული ტერიტორიები იძლევიან შესანიშნავ შესაძლებლობას, როგორც ტურისტული ლამქრობებისთვის, ასევე სამეცნიერო სამუშაოების წარმართვისთვის. ამის თვალსაჩინო მაგალითი გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვებაა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ათეულობით მეცნიერი და ასობით ტურისტი სხვადასხვა ქვეყნიდან. ცხემვანას და კობალაურის თაღოვანი ხიდი (XII);პეტრას ციხე(VI); ფიჭვნარის ნაქალაქარი; სხვადასხვა პერიოდში ნაგები ტაძრების ნანგრევები; ტბიყელის ტბა; წაბლნარის ჩანჩქერი; მტირალას ეროვნული პარკი; ისპანის ტორფნარი;

ბიუჯეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 51, 962. 2 ათას ლარს. მათ შორის ბიუჯეტის შემოსულობები 48,619.7 ათას ლარს, ფინანსური აქტივების ცვლილება 3,342.5 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა იმფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად 21,373.4 ათასი ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი, რომელიც მუნიციპალიტეტს გამოეყოფა იმფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად 7,561.0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2022-2025 წლებისთვის

შემოსულობები

2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2022-2025 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2020-2025 წლებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
შემოსულობები სულ	33,342,4	48,619,7	43 772.7	51 010.5	44 501.0	38 356.8
შემოსავლები	33,318,3	48,069,7	41,415,7	51,303,5	46,416,2	40,446,2
გადასახადები	13,023,0	16,209,1	15,511,4	19,389,2	23,191,9	21,102,5
დამატებული ღირებულების გადასახადი	10,361.3	12,409.1	11,011,4	14,889,2	16,476,7	16,602,5
ქონების გადასახადი	2,661.7	3,800.0	4,500,0	4,500,0	4,500,0	4,500,0
გრანტები	17,274,5	28,934,4	23,340,0	29,340,0	21,340,0	15,340,0
საერთაშორისო ორგანიზ. მირებული გრანტები						
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან						
გრანტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის						
მიზნობრივი ტრანსფერი						
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერი	17,274,5	28,934,4	23,340,0	29,340,0	21,340,0	15,340,0
სხვა შემოსავლები	3,020,8	2,926,2	2,564,3	2,574,3	1,884,3	1,914,3
არაფინანსური აქტივების კლება	24.1	550.0				

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2022-2025 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლების ხელშეწყობა;
- ❖ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

პრიორიტეტის დასახელება	პრიორიტეტის კოდი	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 პროექტი	2023 პროექტი	2024 პროექტი	2025 პროექტი
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	02 00	16,612.2	27,123.7	18 365,0	30 621,7	23 876,4	18 709,7
დასუფთავება და გარემოს დაცვა	03 00	2,686.8	3,005.8	3 884,6	3 665,6	3 793,8	3 814,1
განათლების ხელშეწყობა	04 00	4,387.0	10,016.6	10 279,0	8 072,0	7 254,7	6 413,3
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	05 00	2,772.1	3,282.7	2 515,5	2 967,7	2 852,2	2 730,4
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	06 00	1,525.0	2,189.0	2 862,9	1 760,3	1 777,8	1 777,8
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	01 00	5,601.6	6,344.4	5 598,8	5 110,4	4 946,2	4 911,6

ბიუჯეტის ბალანსი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი 2020-2025 წლებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
I. შემოსავლები	33,318,301	48,069,700	42,855,800	51,706,500	44,802,100	38,852,700
გადასახადები	13,023,022	16,209,100	21,036,200	21,170,200	26,462,800	28,783,400
გრანტები	17,274,483	28,934,400	19,000,000	27,847,000	15,640,000	7,340,000
სხვა შემოსავლები	3,020,796	2,926,200	2,819,600	2,689,300	2,699,300	2,729,300
II. ხარჯები	18,988,109	26,133,955	26,508,550	24,049,981	24,191,330	24,428,236
შრომის ანაზღაურება	7,999,588	8,467,430	9,161,620	9,488,680	9,488,680	9,488,680
საქონელი და მომსახურება	4,245,866	7,067,536	9,013,980	8,530,582	8,701,425	8,920,529
პროცენტი	265,765	176,971	118,990	105,899	40,505	34,307
სუბსიდიები	1,221,560	1,773,000	1,685,000	1,986,000	2,016,000	2,036,000
გრანტები	3,917	2,229	-	-	-	-

სოციალური უზრუნველყოფა	814,879	1,793,314	1,979,400	2,268,100	2,361,900	2,361,900
სხვა ხარჯები	4,436,533	6,853,475	4,549,560	1,670,720	1,582,820	1,586,820
III. საოპერაციო საღებო	14,330,192	21,935,745	16,347,250	27,656,519	20,610,770	14,424,464
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	12,587,706	23,073,072	15,390,850	28,530,720	21,090,520	14,799,220
ზრდა	12,611,831	23,623,072	15,390,850	28,530,720	21,090,520	14,799,220
კლება	24,125	550,000		-	-	-
V. მთლიანი საღებო	1,742,487	-1,137,327	956,400	125,799	520,250	625,244
V I. ფინანსური აქტივების ცვლილება	-242,154	-3,342,500	-650,000	-1,490,945	-996,785	-861,685
ზრდა						
ვალუტა და დეპოზიტები						
კლება			650,000	1,490,945	996,785	861,685
ვალუტა და დეპოზიტები	242,154	3,342,500	650,000	1,490,945	996,785	861,685
V II. ვალდებულებების ცვლილება	-1,984,641	-2,205,173	-1,606,400	-1,616,744	-1,517,035	-1,486,929
კლება						
საშინაო	1,984,641	2,205,173	1,606,400	1,616,744	1,517,035	1,486,929
სესხები						
სხვა კრედიტორული დავალიანებები						
V III. ბალანსი	-	-				

2020-2021 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2020 წლის ბიუჯეტის შესრულება

2020 წელი-ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ბიუჯეტის შემოსავლების მიმოხილვა ძირითადი კატეგორიების მიხედვით

შემოსულობების დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	გადახრა +/- გეგმასთან	%
გადასახადები	13 230 307	13 023 022	(-207 285)	98.4
ა) ქონების გადასახადი	3 303 007	2 661 668	(-641 339)	80.6
ბ) დამატებული ღირებულების გადასახადი	9 927 300	10 361 354	(+434 054)	104.4

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა **გადასახადების** ნაწილში შეადგენდა 13 230 307 ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 13 023 022 ლარი ანუ 207285 ლარით ნაკლები; ცალკეული სახეების მიხედვით შემოსავლები ასე გადანაწილდა: შემოსავალის წლიური გეგმა ქონების გადასახადის სახეში სულ შეადგენდა 3 303007 ლარს, ფაქტიურად შემოსავალმა შეადგინა 2 661 668 ლარი, შემოსავალს დააკლდა 641339 ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადის სახეში წლიური გეგმა განისაზღვრა 9 927 300 ლარით, სულ წლიური ფაქტიური შემოსავალი შეადგენს 10 361 354 ლარს, წლიური გეგმის შესრულებაზე გადამეტება შეადგენს 434054 ლარს. სულ გადასახადების ნაწილში წლიური გეგმის შესრულებას დააკლდა 207285 ლარი.

სხვა შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტის წლიური გეგმა განისაზღვრა 2 339 500 ლარი, ფაქტიური შემოსავალი შეადგენს 3 020 796 ლარს, აქედან 191626 ლარი წინა წელს გამოუყენებელი თანხების უკან დაბრუნებაა (რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ დაბრუნდა შესაბამის ბიუჯეტში და სახელმწიფო ხაზინის მიერ დამინუსდა გრანტების ნაწილში), ამის გათვალისწინებით ფაქტიური შემოსავალი განისაზღვრა 2 829 170 ლარით. ანუ წლიური გეგმის მაჩვენებელზე 489670 ლარით მეტი. სხვა შემოსავლებს ცალკეული სახეების მიხედვით თუ განვიხილავთ შესრულების მაჩვენებლები სახეებში შემდეგნაირად გადანაწილდა:

შემოსულობების დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	გადახრა +/- გეგმასთან
<u>სხვა შემოსავლები</u>	2 339 500	3 020,796	681,296
<i>I. შემოსავლები საკუთრებიდან</i>	400 860	488 288	87428
<i>პროცენტები</i>	162416	246196	83780
<i>რენტა</i>	238444	242092	3648
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	120000	156919	36919
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	118444	85174	-33270
<i>II. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</i>	654340	694244	39 904
ადმინისტრაციული გადასახდელები და მოსაკრებლები	579200	681 011	101811
სანებართვო მოსაკრებელი	426700	491943	65243
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი		6	6
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2500	2500	
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	150000	186568	36568
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	75140	13233	-61907
<i>III. სანქციები (ჯარიმები, საურავები)</i>	1 100 000	1 517 965	417 965
<i>IV. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი</i>	184300	320298	135998

პროცენტები - დარიცხული პროცენტების სახეში დაიგეგმა 162416 ლარი ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 246196 ლარი, მაჩვენებლის შესრულების გადამეტებამ შეადგინა 83780 ლარი.

რენტა - სულ წლიური ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 238444 ლარი, ფაქტიური შემოსვლა შეადგენს 242092 ლარს ანუ გადაჭარბებაა 3648 ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის სახეში დაგეგმილი იყო 120000 ლარი, ფაქტიურად ბიუჯეტში შემოვიდა 156919 ლარი ანუ გადაჭარბებაა 36919 ლარით; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან სახეში დაიგეგმა 118444 ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 85174 ლარი ანუ 33270 ლარით ნაკლები.

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელების წლიური გეგმა განისაზღვრა 579200 ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 681011 ლარი შემოსავლებს დააკლდა 101811 ლარი. მათ შორის **სანებართვო**

მოსაკრებლის სახეში დაიგეგმა 426700 ლარი, ფაქტიურად შემოსულია 491943 ლარი ანუ 65243 ლარით მეტი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახეში ფაქტიურად ბიუჯეტში შემოსულია 2500 ლარი. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის სახეში დაგეგმილი იყო 150000 ლარით, ფაქტიურმა შემოსვლამ შეადგინა 186568 ლარი ანუ 36568 ლარით მეტი. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან სახეში წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 75140 ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 13233 ლარი, ანუ დაგეგმილ მაჩვენებელზე 61907 ლარით ნაკლები.

ჯარიმები სანქციები და საურავების მოსაკრებლის სახეში წლიური გეგმა განისაზღვრა სულ 1 100000 ლარით, ფაქტიურად სულ შემოსულია 1 517965 ლარი ანუ 417965 ლარით მეტი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახეში დაგეგმილი 184 300 ლარიდან შემოვიდა სულ 320,298 ლარი, სადაც შედის წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული ფინანსური რესურსიც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სულ 191626 ლარი. ამის გათვალისწინებით შემოსავალი შეადგენს 128672 ლარს, ანუ წლიურ დაგეგმილზე 55628 ლარით ნაკლები.

არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 24125 ლარი, მათ შორის შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან 21875 ლარი.

როგორც წარმოდგენილი ანალიზით ირკვევა, წლის განმავლობაში ფაქტიურად მიღებული შემოსავლების მთლიან მოცულობაში საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელი შეადგენს შემოსავლების 81 პროცენტს, სხვა შემოსავლების ფაქტიური მაჩვენებელმა შეადგინა 19 პროცენტი.

გრანტები:

წლის განმავლობაში გრანტების სახით მიღებული ფაქტიური შემოსავალი 17 274 484 ლარი შემდეგნაირად გადანაწილდა:

- I. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი 2 739 794 ლარიდან ფაქტიურად მიღებულია 2705925 ლარი 99%.
- II. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 308381 ლარიდან ტრანსფერი ფაქტიურად მოთხოვნის შესაბამისად ჩამორიცხულია 308 381 ლარი - 100%;
- III. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან 9132969 ლარიდან ფაქტიურად ჩამორიცხულია 9132955 ლარი --100%.
- IV. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის N2535 განკარგულების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტში ფაქტიური შემოსულობების გათვალისწინებით ფინანსური დახმარების მიზნით გამოყოფილი და სრულად ჩამორიცხული იქნა 5 285 000 ლარი;

გადასახდელები: (თანახმად დანართისა)

2020 წელში დაზუსტებული ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებებზე გაწეული მთლიანი ხარჯები 33 584 580 ლარი წლიური დაზუსტებული გადასახდელების 92%. -ს შეადგენს.

2021 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ფულადი სახრების ნაშთი შედგენს 3 344 877 ლარს.

ა) გადასახდელები ბიუჯეტის ცალკეული სფეროების მიხედვით

▪ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებას მოხმარდა 5 490 384 ლარი, საერთო საბიუჯეტო ხარჯის 16,4%. ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაგეგმილი თანხების 95%. აღნიშნული სფეროს ხარჯები მოიცავს ვალთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯებსაც და მათ შორის მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით განხორციელებულ პროექტებზე სასახო წარმოქმნილ ვალდებულებების დაფარვის ხარჯებს, სესხების

მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ იქნა 2 250 400 ლარი. რაც ჯამურად აღნიშნული სფეროს ხარჯების 41 პროცენტს შეადგენს.

თავდაცვის სფეროს მოხმარდა 111170 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 0,33%, წლიური დაგეგმილი თანხების ათვისებამ შეადგინა დაგეგმილი თანხების 90%.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სულ გახარჯულია 6301608 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 18,8 %, საბიუჯეტო თანხების ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 93 პროცენტი. აღნიშნულ სფეროში ხარჯების მთლიანი ოდენობა შეადგინა საგზაო სფეროს ხარჯებმა მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ინფრასტრუქტურულმა ღონისძიებებმა. კერძოდ განხორციელდა ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორცაა:

- დასრულდა დაბა ჩაქვში „ოაზისის“ მიმდებარედ გზაგამტარის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა- პროექტის ღირებულება დასრულების ეტაპზე ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 182449 ლარით, საკასო ხარჯი განისაზღვრა 182103 ლარი; პროექტის ფარგლებში განხორციელდა არსებული სარკინიგზო ხაზის ქვეშ საავტომობილო გზაგამტარის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა,, დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, კეთილმოეწყო სკვერი და სპორტული მოედანი.
- ქალაქ ქობულეთში კაფე ედემთან (რუსთაველიდან აღმაშენებელზე და აღმაშენებლიდან ზღვაზე) გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით დაიხარჯა 539226 ლარი. განხორციელდა ქ. ქობულეთში რუსთაველის ქუჩიდან აღმაშენებელზე და აღმაშენებლიდან სანაპიროზე გადასასვლელისა და სავალი ნაწილის მოპირკეთება დეკორატიული ფილებით. აგრეთვე გადასასვლელზე მოეწყო მწვანე ზოლი, დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, მოეწყო მინი სპორტული მოედანი, განთავსდა საპარკე დეკორატიული სკამები, სანაგვე ურნები, სავარჯიშო ტრენაჟორები და საბავშვო ატრაქციონები.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადასასვლელის (კომახიდის ქუჩაზე საფენბავლო გადასასვლელი, მეგობრობის ქუჩის ზღვაზე გადასასვლელი, რუსთაველის ქ. №160 ზ-დან კომახიდის ქ. №100-მდე გადასასვლელი, რუსთაველის ქუჩა №266-268 შესასვლელი გზა, რუსთაველის ქ. №140 ჟ-დან კომახიდის ქ. №2-ის ჩათვლით) კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებლად დაიხარჯა 109070 ლარი. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, გადასასვლელებზე გზის სავალი ნაწილი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, მოეწყო გარე განათების სისტემა.
- ქ. ქობულეთში არსებული ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 48035 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა დაზიანებული ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ ორმული შეკეთება;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით სულ ბიუჯეტმა წლის განმავლობაში დახარჯა 2380194 ლარი, ამ მიზნით დაიგეგმილი ბიუჯეტის გეგმის 98%. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სასოფლო გზებზე მოეწყო ბეტონის საფარი.
 - განხორციელდა წლის განმავლობაში პროექტი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსაცდელის მოწყობა (11 ერთეული) ღირებულებით 53581 ლარი; აღნიშნულის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაჩერებებზე მოეწყო 11 ერთეული დეკორატიული აგურის მოსაცდელი.
 - დაბა ჩაქვის ცენტრის კეთილმოწყობა დაფინანსდა 675363 ლარით. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა და ტერიტორია მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოკამარების მოვლა-შენახვის მომსახურების სამუშაოებისა და დამონტაჟების დასრულების მიზნით სულ დაიხარჯა 98246 ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობა განხორციელდა 17800 ლარით. საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტებში მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები დაახლოებით 250 გრ.მ.
- ქალაქ ქობულეთში, თავისუფლების ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილი იყო 692569 ლარი, საიდანაც დაიხარჯა 266935 ლარი. ათვისებული ფულადი ნაშთით დარჩენილი სამუშაოები გარდამავალი ღონისძიების სახით აისახა 2021 წლის ბიუჯეტში და დასრულდება 2021 წლის დასაწყისისათვის.
- მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები-კერძოდ მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნების სამუშაოებისათვის გაიხარჯა 25602 ლარი. კერძოდ განხორციელდა მდ. დეხვას კალაპოტის გასწორხაზოვნება და მდ. კინტრიშის კალაპოტის გასწორხაზოვნება.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება დაფინანსდა სულ 339872 ლარით. ბიუჯეტიდან სუბსიდიის თანხის ჩარიცხვა ხორციელდებოდა ყოველთვიურად სუბსიდიების ხელშეკრულებისა და შ.პ.ს. „ქობულეთის ტრანსრეგულირების“ წერილობითი განაცხადის საფუძველზე, სადაც დასტურდებოდა

ინფორმაცია მუნიციპალური ტრანსპორტის სერვისიდან მიღებული საკუთარი შემოსავალის შესახებ და სუბსიდირების საჭიროების თაობაზე თანახმად პროგრამისა.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოების განხორციელების** მიზნით დაფინანსება შეადგენს 1565 581 ლარს. უზვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით განხორციელდა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის საცხოვრებელი ადგილებისათვის ფერდსამაგრი სამუშაოების ჩატარება.

- **გარემოს დაცვის ღონისძიებებს სულ ფაქტიურად მოხმარდა 2 443 536 ლარი** მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 7,3 პროცენტი, წლიური დაგეგმილი თანხების ათვისება შეადგენს 93 %.

- აღნიშნული სფერო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სანიტარული დასუფთავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (91%), მ/შორის: ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავების ფუნქციონირების ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებსაც;

წლის განმავლობაში განხორციელდა მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის მიზნით დაჭერილი ცხოველების, სტერილიზაცია ვაქცინაცია, დაბირკვა. რისთვისაც გაიხარჯა 50000 ლარი; ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავების მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ქალაქის სანაპირო ზოლის დასუფთავება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა, საყოფაცხოვრებლო ნარჩენების გატანა. ამ მიზნით სულ გაიხარჯა 2 176 820 ლარი;

- **ნაგავშემკრები კონტეინერის შექმნისათვის (200 ერთეული)** ბიუჯეტით დაიხარჯა 130498 ლარი. ისინი განთავსებული იქნა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიებზე.

- **ქალაქ ქობულეთში, ჯავახიშვილის ქ. N2-ში საკანალიზაციო სისტემის მოწყობისათვის დაიხარჯა 15951 ლარი.** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოში მოხდა საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის, სათვალთვლო ჭების მოწყობა და დაერთება მთავარ მაგისტრალურ ხაზზე.

- **ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა №162; აღმაშენებლის ქ. №94; რუსთაველის ქ. №138 ა; რუსთაველის ქ. №140; რუსთაველის ქ. №158; ვერულიძის ქ. №9; აღმაშენებლის ქ. №112-ში საკანალიზაციო მაგისტრალური სისტემის მოწყობა/რეაბილიტაციის მიზნით** ბიუჯეტით გაიხარჯა 70266 ლარი;

- **საბინაო და კომუნალური სფეროს ღონისძიებების სახით** სულ გახარჯულია 10 553 860 ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 31,4 პროცენტი, ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმის ათვისება შეადგენს აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 94,4 პროცენტი. სფეროს ხარჯები ძირითადად მოიცავს კომუნალური სფეროს, წყალმომარაგების, გარე განათების ხარჯებს.

▪ **კომუნალური მეურნეობის განვითარება**

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის მიზნით ბიუჯეტიდან** დაიხარჯა 954241 ლარი. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში და დაბაში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 29 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებულ 6 მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში განხორციელდა 12 ახალი ლიფტის მოწყობა** და ამ მიზნით დაიხარჯა 719999 ლარი.

- **სოფელ მუხანესტატეში (ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბინები) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და კიბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის** დაიხარჯა 30991 ლარი;

- **ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჩაის ფაბრიკის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის** დაიხარჯა 2020 წელში სულ 237616 ლარი, წლიური დაგეგმილი თანხის 99 %. აღნიშნული პროექტი გარდამავალი 2021 წლის პროექტია და მიმდინარე წელს არის გათვალისწინებული დასრულება. მოწესრიგდება სანიაღრე სისტემა, მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, მოეწყობა მწვანე ზოლი, შეიცვლება გარე განათების სისტემა, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, საპარკე სკამები და ურნები.

- **ქალაქ ქობულეთში, გელაურის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ვილარის) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის** დაიხარჯა 148498 ლარი, წლიური გათვალისწინებული გეგმის 99%. აღნიშნული პროექტი გარდამავალი პროექტია და მისი დასრულება მიმდინარე წელსაა გათვალისწინებული. მოწესრიგდება სანიაღრე სისტემა, დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა მწვანე ზოლი, შეიცვლება გარე განათების სისტემა, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, საპარკე სკამები და სანაგვე ურნები.

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ჯავახიშვილის ქ. N51; თავისუფლების N90) ეზოების ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობის მიზნით** დაიხარჯა 189053 ლარი; მოწესრიგდა სანიაღრე სისტემა, მოეწყო დეკორატიული ფილები, შეიცვალა გარე განათების სისტემა, დაიდგა საპარკე დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები.

- დაბა ჩაქვში მ. აბაშიძის ქ. N11-ში ეზოს/სკვერის კეთილმოწყობისათვის გაიხარჯა 142574 ლარი. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, მოეწყო დეკორატიული ფილები, შეიცვალა გარე განათების სისტემა, დაიდგა საპარკე დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები.
- ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N28-თან მისასვლელისა და ეზოს/სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა თანხით 267257 ლარი. მოწესრიგდა სანიაღვრე სისტემა, გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტო/ბეტონის საფარი, სკვერი მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით, შეიცვალა გარე განათების სისტემა, დაიდგა საპარკე დეკორატიული სკამები და სანაგვე ურნები.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მემორიალების მოწყობის სამუშაოებისათვის ჯამში დაიხარჯა 27741 ლარი. კერძოდ მოეწყო სოფელ ციხისძირში მოეწყო საბავშვო ბაღის პედაგოგის მარინა კონცელიძის (რომელმაც 13 ბავშვი გადაარჩინა და თვითონ დაიღუპა) მემორიალი და ქალაქ ქობულეთში არსებული 9 აპრილის სკვერში მოეწყო მემორიალი.
- ქობულეთის სანაპიროსთვის შექმნილი იქნა 214 ერთეული დეკორატიული საპარკე სკამები თანხით 209934 ლარი.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებსა და პარკებში განსათავსებლად შექმნილი იქნა 17 ერთეული ფანჩატური, რისთვისაც სულ დაიხარჯა 36118 ლარი;
- დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული შენობის და ქ. ქობულეთში სასწრაფოს ეზოს, სოფ. ცეცხლაურში 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა სკვერის და ჭახათის ცენტრის კეთილმოწყობისათვის ბიუჯეტით დაიხარჯა 116203 ლარი. სასწრაფოს ეზო შემოიღობა და დამონტაჟდა შლაგბაუმი, სოფ. ცეცხლაურში 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა სკვერი შემოიღობა, დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული შენობის შემოღობვა და ეზოს მოპირკეთება მოხდა დეკორატიული ფილებით, მოეწყო გარე განათებაც, მოწესრიგდა სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემებიც, ჭახათის ცენტრში კი მოეწყო ბეტონის საფარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ სკამებსა და ღობეებს, შეიცვალა გარე განათების სისტემა, ცენტრში არსებული წრიულის შემოსვა მოხდა ბუნებრივი გრანიტით, რეაბილიტირებული იქნა არსებული ფანჩატურიც.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა აჭყვაში სალევო დარბაზის მოწყობა განხორციელდა 9708 ლარით. პროექტის ფაგლებში მოხდა სალექციო დარბაზში ჭერისა და კედლების სამღებრო სამუშაოები, მოეწყო ახალი მეტალოპასტმასის კარ-ფანჯრები, შეიცვალა იატაკი და შეიღება ფასადი.
- სოფ. ლედვას ადმინისტრაციულ შენობაში სამედიცინო პუნქტისათვის ოთახებისა და სველი წერტილის მოწყობის მიზნით ბიუჯეტიდან დაიხარჯა 15151 ლარი. შენობაში ოთახებსა და სველ წერტილებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია: ჩატარდა სამღებრო სამუშაოები, მოეწყობა წყალ-გაყვანილობის სისტემა, სველი წერტილები მოპირკეთდა კერამიკული ფილებით.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეებში ზურაბ გორგილაძის სახლმუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა, რომელიც წინა წლის პროექტი იყო და ამისათვის 2020წელში დაიხარჯა 28304 ლარი.
- ქობულეთის სანაპირო ზოლში 7 ერთეული საშხაპის მოწყობა სანაპიროზე მოეწყო (7 ერთეული) საშხაპე თანხით 9038 ლარი.
- ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის (I ეტაპი) სამუშაოების დასრულებისათვის რომელიც წინა წელს დაწყებული პროექტი იყო ბიუჯეტმა დახარჯა 146 438 ლარი.
- ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობის (II ეტაპი) სამუშაოებისათვის ბიუჯეტმა დახარჯა 1978781 ლარი, წლიური დაგეგმილი თანხის 98,9 პროცენტი. როგორც ცნობილია პროექტი გარდამავალი პროექტია და დასრულდება 2021 წელში. მოეწყობა ბულვარი 1000 გრ.მ. სადაც დეკორატიული ფილებით მოპირკეთდება სასეირნო ზოლი და სავალი ნაწილი, მოეწყობა ველო ბილიკები, გაშენდება მწვანე ზოლი, დამონტაჟდება ახალი განათების სისტემა.
- სპეც. ტექნიკის (1 ერთეული სატვირთო და 1 ერთეული უნუვერსალური ექსკავატორი) შეძენისათვის დახარჯულია 387684 ლარი..

წყალმომარაგების ნაწილში:

- საბინაო კომუნალური სფეროს ხარჯების 21 % გაიხარჯა წყალმომარაგებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაციის ღონისძიებებში თანხით 2 260 006 ლარი. წლიური გეგმის 2350549 ლართან მიმართებაში ათვისება შეადგენს 96,1 პროცენტს.
- განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული ღონისძიება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ციხისძირი, ქვ. კონდიდი) წყალსადენის სისტემაზე ჭაბურღილების მოწყობა თანხით 677149 ლარი; წყლის დებეტის გაზრდის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ციხისძირი - 2 ერთეული, ქვ. კონდიდი-2 ერთეული) წყალსადენის სისტემაზე მოეწყობა 4 ერთეული ჭაბურღილი.
 - შპს ქობულეთის წყალის სუბსიდირებამ შეადგინა 783334 ლარი, წლიური გათვალისწინებული გეგმის 98,5 პროცენტი.
 - ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალი“ ს სუბსიდირებისათვის დაიხარჯა 799,523 ლარი. წლიური დამტკიცებული გეგმის 91,8 პროცენტი.

- **გარე განათების მოწყობა**, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები საბინაო კომუნალური სფეროს ხარჯების 13,5% -ია და სულ 1425255 ლარია. იგი მოიცავს მუნიციპალიტეტში არსებული გარე განათების წერტილების, მოხმარებული ელექტროენერგიისა და ექსპლუატაციის ხარჯს. გარდა ამისა განხორციელდა
 - **ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქაქუთი, გვარა, სოფელ ქობულეთი-კოხი, კვირიკე-მუხნარი, ახალსოფლის დასახლება, დაგვა, მუხაესტატე-ალამბარი) გარე განათების მოწყობა თანხით 207 637 ლარი**; მოხდა ახალი გარე განათების დიოდური ლედ სანათების მოწყობა.
 - **ქ. ქობულეთში ზღვის სანაპირო ზოლში (1 კმ) გარე განათების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა თანხით 87931 ლარი**. ქალაქ ქობულეთში, ზღვის სანაპირო ზოლში 1 კმ-მდე მანძილზე დაზიანებული არსებული გარე განათების სისტემა შეიცვალა (ხელოვნური) გრანიტის ქვისგან დამზადებული ახალი ბომბითა და სანათებით.
 - **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა განხორციელდა 271638 ლარით**. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქალაქი ქობულეთი, გელაური, სოფელი ხუცუბანი, სოფელი გვარა, სოფელ ქობულეთი, სოფელი კვირიკე, კვირიკის ავტობანი, სოფელი ციხისძირი, სოფელი წყავროკა, დაბა ჩაქვი) მოხდა ახალი გარე განათების დიოდური ლედ სანათების მოწყობა.
 - **წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგიის საფასურის ასანაზღაურებლად და მისი ექსპლუატაციის მიზნით ბიუჯეტმა დახარჯა სულ 858 048 ლარი**.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) ,რომელიც დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - " აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" და წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც ,ჯამში გამოყოფილი 836000 ლარიდან დაფინანსებამ შეადგინა 496 434 ლარი. 52,2%. დარჩენილი აუთვისებელი თანხები დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, როგორც ცნობილია გათვალისწინებული იქნა 2021 წლის ბიუჯეტით და დასრულდება შესაბამისად მიმდინარე წელს.
- მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 2019 წელს როგორც ცნობილია 171 600 ლარი. რომლიდანაც დაუფინანსებელი 34320 ლარი, როგორც გარდავალი პროექტი ფარგლებში დაგეგმილი იყო 2020 წლის ბიუჯეტით და დაფინანსდა სრულად და პროექტი დასრულდა.
- **თუნუქის შესყიდვის მიზნით ბიუჯეტი დაიხარჯა 87 941 ლარი. ამ მიზნით ბიუჯეტის გათვალისწინებული გეგმის 96%.**
 - **აზომგითი ნახაზების მომზადების მიზნით ბიუჯეტმა დახარჯა 4725 ლარი. (95%)**
 - **ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანების სუბსიდირებამ შეადგინა 329505 ლარი, წლიური დაგეგმილი თანხის 98 %.**
 - **შპს “ ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგურის“ სუბსიდირებისათვის დაიხარჯა 25 467 ლარი, წლიურად ამ მიზნით გამოყოფილი გეგმიური ხარჯების 93,5%.**
- **საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მოწოდების მიზნით ბიუჯეტიდან დაგეგმილი იყო სულ 327000 ლარი. ფაქტიური ხარჯი შეადგენს 234879 ლარს ანუ 72%. აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში რამდენიმე პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოწოდება გახდა გარდამავალი რაც როგორც ცნობილია გათვალისწინებული იქნა 2021 წელში და დასრულდა.**
- **დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროში სულ გაიხარჯა 2 076 340 ლარი**, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 6,2 %. ათვისებამ შეადგინა აღნიშნულ სფეროში წლიური დაგეგმილი თანხების 89,3%. განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები როგორცაა:
 - **ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოზოყვათში ფეხბურთის მოედნის მოწყობა** თანხით 178 789 ლარი. განხორციელდა არსებული საფეხბურთო მოედნის შემოღობვა და მოეწყო დამცავი კედელია.

- ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული 4 ერთეული (რუსთაველის ქ. №166ა, რუსთაველის ქ. №162დ, რუსთაველის ქ. №140 და ლესელიძის ქუჩაზე) სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები დაფინანსდა 49 740 ლარით; შეიცვალა ხელოვნური საფარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ღობეებს, დამონტაჟდა ახალი გარე განათების სისტემა.
 - ქ. ქობულეთში, ახალსოფელში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია განხორციელდა 68 716 ლარით. დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შემოიღობა, მოეწყო გარე განათების სისტემა.
 - სოფ. კვირიკეში (მეურნეობაში და სასირეში) 2 ერთეული მინი სტადიონის მოწყობისათვის ბიუჯეტით დაიხარჯა 119 257 ლარი. დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შემოიღობა, მოეწყო გარე განათების სისტემა, მოედნის ირგვლივ დაიგო დეკორატიული ფილები.
 - სოფ. ცეცხლაურში არსებული სტადიონის შემოღობვის და ხინოს დასახლბაში ახალი სტადიონია მოწყობა დაფინანსდა 167 650 ლარით. შემოიღობა ხინოს დასახლბაში მოეწყო ახალი სტადიონი : დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შემოიღობა, მოეწყო გარე განათების სისტემა, მოედნის ირგვლივ დაიგო დეკორატიული ფილები.
 - ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული 6 ერთეული (აბაშიძის ქუჩაზე ლუკოილის მიმდებარედ, რუსთაველის ქ №140, კომახიძის ქ №13; კომახიძის ქ №15; რუსთაველის ქ №162; აღმაშენებლის ქუჩაზე დაცული ტერიტორიების მიმდებარედ) სტადიონების რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტით დაიხარჯა 257 680 ლარი. შეიცვალა ხელოვნური საფარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ღობეებს, დამონტაჟდა ახალი გარე განათების სისტემა.
 - მუხანგატატეს მეურნეობაში სპორტული მოედნის მოწყობისათვის დაიხარჯა 65 474 ლარი. დაიგო ახალი ხელოვნური საფარი, შემოიღობა, მოეწყო გარე განათების სისტემა.
 - კულტურული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით დახარჯულმა თანხებმა 9 246 ლარი შეადგინა. ათვისება პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინებიდან გამომდინარე შეადგენს წლიური დაგეგმილი თანხის 57 700 ლართან მიმართებაში 16%.
 - ა(ა)იპ ქობულეთის პარკის სუბსიდირების მიზნით გაიხარჯა 258 877 ლარი. ათვისება შეადგენს წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 97,2%.
 - ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 568760 ლარს, ფაქტიურად სუბსიდირებამ შეადგინა 513226 ლარი ანუ 90,2%.
 - ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმის სუბსიდირებისათვის გაწეული ხარჯი შეადგენს 106506 ლარს, წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 97%.
 - გურამ თამაზაშვილის სახელობის ა(ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი“მხედრული“ ფუნქციონირებისათვის გაწეული ფაქტიური ხარჯი ბიუჯეტით შეადგენს 204961 ლარს,რაც წლიური დამტკიცებული გეგმის 99,9პროცენტია.
 - სპორტული საკლუბო გუნდების მზარდაჭერის ფარგლებში შპს“სარაგბო კლუბი პონტოს“ სუბსიდირება შეადგენს 72888 ლარს, რაც ამ მიზნით წლიური დაგეგმილი ბიუჯეტის 86%-ია.
- **განათლების სფეროში** გაიხარჯა სულ 5082698 ლარი ; მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 15,1%. წლიური დაგეგმილი თანხების ათვისება შეადგენს 83,8% პროცენტს. აღნიშნულ სფეროში გახარჯული თანხების 61% მოდის ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხარჯებზე, თუმცა განხორციელდა ინფრასტრუქტურული მიმართულებითაც, კერძოდ:
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალაში საბავშვო ბაღის მოწყობისათვის ბიუჯეტით გაიხარჯა 273499 ლარი,წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 39 პროცენტი. როგორც ცნობილია პროექტი თავიდანვე გარდამავალი პროექტი იყო და გათვალისწინებული იყო 2021 წლის ბიუჯეტით. თუმცა მუნიციპალიტეტმა აუთვისებელი თანხები 2020 წელში მიიღო სრულად სახელმწიფო ბიუჯეტით, შესაბამისად არსებული ფულადი ნაშთის საფუძველზე პროექტის 2021 წლის ღირებულებაც გაიზარდა და დასრულდება .პროექტის ფარგლებში აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი და კეთილმოეწყოება ბაღის ეზოც.
 - ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დაიხარჯა 311466 ლარი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები: სველი წერტილები მოწესრიგდა, ჩატარებული იქნა შიდა სამღებვრო სამუშაოები, აღდგენილი იქნა დაზიანებული სახურავები.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 1) ტურიზმის სარეკლამო მასალების დამზადება (სარეკლამო ბეჭდური მასალები, სუვენირები, სასაჩუქრე ჩანთები). 2. ინფო ტური ბლოგერებისთვის, ფოტოგრაფებისთვის და ჟურნალისტებისთვის (უცხოელი და ქართველი ჟურნალისტების მოწვევა, ტრანსფერით, დაბინავებით და კვებით უზრუნველყოფა, ქობულეთის ირგვლივ ტურის ორგანიზება, ღირსშესანიშნავი ადგილების და ტურისტული ობიექტების დათვალიერება, კულინარიული მასტერკლასის ორგანიზება). 3. ფესტივალი სოფლად " მზე სოფელში ანათებს" ღონისძიებისთვის ტერიტორიის მოწყობა, მონაწილეთა და საჭირო ინვენტარის ტრანსპორტირება, სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა, ქართული სამზარეულოს კუთხის მოწყობა, და კულინარიული მასტერკლასის გამართვა, ბენდის მოწვევა, დაბინავება. განათებით, აპარატურით და ხმის რეჟისორით უზრუნველყოფა, წამყვანის მოწვევა, ტურის ორგანიზება, ღონისძიების დრონით და ვიდეოკამერით გადაღება, მონტაჟი. 4) ბრენდირება, სოციალური გვერდების სატელევიზიო სივრცეში ქობულეთის რეკლამირება, ვიდეო ფროდაქშენი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი ვიკიპედიაზე"-მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის განახლება, კორექტირება, 2 ენაზე თარგმნა ფოტომასალის და სხვა საჭირო რესურსების და ვიკიპედიაზე განთავსება.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა; საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირებას. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა</p>					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			192,5	148,0	148,0	148,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქობულეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური და ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი					

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუზეუმი განახორციელებს სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო აქტივობების ორგანიზებას, მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესწავლისა და კვლევის მიზნით მუნიციპალიტეტის მკვიდრებისა და სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზებას, მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, მუზეუმში დაცული სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე ნივთების დაცვას, ინტერპრეტაციას და პოპულარიზაციას. კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება
მოსალოდნელი შედეგი	ჩატარებული ღონისძიებების ფონზე მუნიციპალიტეტის სამუზეუმო ცხოვრების გამრავალფეროვნება, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 02 07		75,0	90,0	100,0	112,0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p align="center">განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა, ასევე სოციალურად დაუცველი, ობოლი და მრავალშვილიანი სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება</p> <p>განათლებული საზოგადოება წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტებზე მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დავით ხახუტაიშვილისა და აკადემიკოსს ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიის გაცემას. სტიპენდია ეძლევათ სტუდენტებს კვარტალში ერთხელ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, რომლებსაც მიღებული აქვთ სემესტრში საშუალო დადებითი შეფასება (A)-ფრიადი (91 ქულა და მეტი) იმავე საფეხურის წინა სემესტრის საგნების მოსწრების დოკუმენტის თანახმად. პროგრამით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, თანხა სემესტრში შეადგენს 400 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. ხოლო სოციალურად დაუცველის, ობოლის და მრავალშვილიანი ოჯახების სტუდენტების სტიპენდია სემესტრში შეადგენს 800 ლარს.</p> <p>2. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვეს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა-100%. ერთ მოსწავლეზე გასაცემი ჯილდო არა უმეტეს 2000 ლარისა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. თუ რაოდენობა იქნება 8 მოსწავლეზე მეტი, საერთო თანხა გადანაწილდება არსებულ რაოდენობაზე.</p> <p>3. უცხოეთის უმაღლეს საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობა (5 სტუდენტი).</p>					
მოსალოდნელი შედეგი	სტუდენტების წახალისება, აქტიური და ინიციატორი სტუდენტების სტიმულირებას. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესი					

საჭირო დოკუმენტაცია:	<p>I. 1. სტიპენდიის მოსაპოვებლად, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს: ა) განცხადება მერის სახელზე; ბ) ერთი რეკომენდაცია ფაკულტეტის ლექტორისა ან დეკანატისგან; გ) აკადემიური მოსწრების ფურცელი; დ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ID ბარათი ან პასპორტი); ე) საინფორმაციო ბარათი საჯარო რეესტრიდან /დევენილის შემთხვევაში ცნობა რეესტრაციის შესახებ; ვ) პირადი საბანკო რეკვიზიტები. სოციალურად დაუცველმა, ობოლმა და მრავალშვილიანი ოჯახების სტუდენტებმა, დამატებით უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია (სარეიტინგო ქულა, მშობლის გარდაცვალების ცნობა, მრავალშვილიანი ოჯახის დამადასტურებელი ცნობა და ა.შ.)</p> <p>I. 2. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური კი;დოს გასაცემად სავალდებულო წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ა)განცხადება მერის სახელზე, ბ)საინფორმაციო ბარათი საჯარო რეესტრიდან, გ) დევენილის შემთხვევაში ცნობა რეესტრაციის შესახებ, დ)პირადობის მოწმობის ასლი, ე)პირადი საბანკო რეკვიზიტები. ვ) სსიპ "შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი"-ს მიერ დადასტურებული ინფორმაცია.</p> <p>I. 3. ა)განცხადება მერის სახელზე. ბ)უცხოეთის აკრედიტირებულ უნივერსიტეტში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია 2021-2022 სასწ.წლის (თარგმნილი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული), გ)პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დ)საინფორმაციო ბარათი საჯარო რეესტრიდან, ე)დევენილის შემთხვევაში ცნობა რეესტრაციის შესახებ, ვ) საბანკო რეკვიზიტები.</p>
განცხადების წარმოდგენის ვადები:	<p>1. სტიპენდიის მოსაპოვებლად 2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არაუგვიანეს 2022 წლის 01 აპრილამდე, ხოლო 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების შესახებ ინფორმაცია 2022 წლის 01 სექტემბრამდე.</p> <p>2. ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისების მისაღებად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია არა უგვიანეს 2022 წლის 15 სექტემბრისა.</p> <p>3. უცხოეთის უმაღლეს საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობისათვის ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში წლის მანძილზე.</p>
დამატებითი ინფორმაცია:	<p>1. სტიპენდია ყოველწლიურად ენიშნება არაუმეტეს 130 სტუდენტს. იმ შემთხვევაში თუ შემოტანილი იქნება 130-ზე მეტი განაცხადი, სტიპენდია გაიცემა ყველაზე მაღალი ქულის (100-დან ქვემოთ დათვლის პრინციპით) მქონე 130 სტუდენტზე. ამასთანავე, პროგრამაში სტუდენტთა ერთეულის მითითებული რაოდენობის გამო, საპროგრამო რესურსის არსებობის შემთხვევაში დაფინანსდება სტუდენტების უფრო მეტი რაოდენობაც, იმ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ სემესტრში საშუალო დადებითი 91 ქულაზე მეტი, თუმცა ვერ მოხვდნენ სტიპენდიანტთა დაფინანსების სიაში, შესაბამისი ფინანსური რესურსის მოძიების შემთხვევაში, მათზეც დამატებით გაიცემა სტიპენდია.წინო ჯავახიშვილისა და დავით ხახუტაიშვილის სახელობის სტიპენდია ინიშნება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.</p>

ხელშეწყობა -პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა

	დასახელება	თანხა
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდების (სტუდენტების) ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა-წინო ჯავახიშვილისა და დავით ხახუტაიშვილის სახელობის სტიპენდია (სტიპენდიაზე წარდგენილი სტუდენტები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით, საშუალო არითმეტიკული 91 და მეტი ქულა. სტიპენდიანტებს სტიპენდია ეძლევათ კვარტალში ერთხელ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში). ასევე სტიპენდია ეძლევათ სოციალურად დაუცველ, ობოლ და მრავალშვილიან სტუდენტებს.	120 000
2	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება (ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვეს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა-100%. ერთ მოსწავლეზე გასაცემი ჯილდო არა უმეტეს 2000 ლარისა.)	16 000

3	უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობა (5 სტუდენტი)	15000
	ჯამი	151 000

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათასლარში	2023 წლის დაფინანსება ათასლარში	2024 წლის დაფინანსება ათასლარში	2025 წლის დაფინანსება ათასლარში
	05 02 08		15,0	25,0	25,0	30,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელის სახელი	განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხთა სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ახალგაზრდობის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსება (5 პროექტი):</p> <p>პროგრამა განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 14 დან 29 წლამდე ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (შემდგომში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ინიციატივით წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების პირობებსა და წესებს. პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების წარმოჩენას, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების გაძლიერებას. ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.</p> <p>ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. მნიშვნელოვანია ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. ახალგაზრდებმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავეთ პროექტები, რომლებიც ემსახურება მათი თანატოლების საჭიროებების დაკმაყოფილებას. პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების გაძლიერებას. ახალგაზრდული პროექტების ფინანსური ხელშეწყობის (დაფინანსება) პროგრამა, ვრცელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებზე, 14 დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებზე. ახალგაზრდებს მრავალი ფორმით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ისინი ფლობდნენ სრულყოფილ, პრაქტიკულ და რელევანტურ ინფორმაციას არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების შესახებ; მუდმივად ხდებოდეს მონაწილეობის ახალი და ინოვაციური გზების მოძიება; ყურადღება არ იქნას გადატანილი მხოლოდ ახალგაზრდების დიდი რაოდენობით მონაწილეობაზე, არამედ ფოკუსირება ხდებოდეს ისეთ გზებსა და საშუალებებზე, რომლებიც ახალგაზრდების მონაწილეობის უკეთეს ხარისხს უზრუნველყოფენ და საჭიროებების შემთხვევაში, ახალგაზრდები იღებდნენ ფინანსურ, მორალურ, ინსტიტუციონალურ და სხვა მხარდაჭერას.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების მეტი ჩართულობა, მათი ინიციატივებისა და იდეების განხორციელება, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების გაძლიერება.					
საჭირო დოკუმენტაცია:	ფინანსური ხელშეწყობის მოსაპოვებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. საინფორმაციო ბარათი საჯარო რეესტრიდან; 4. პროექტი, რომელიც უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: თავფურცელი; ინფორმაცია პროექტის ავტორისა და შემსრულებლის შესახებ; პროექტის აღწერა; პროექტის შესრულების განრიგი; ბიუჯეტი; მოსალოდნელი შედეგი; ორგანიზაცია/განმცხადებლის ანგარიშის ნომერი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის ან მუშა ანგარიშის ნომერი პირადობის ასლთან ერთად; 4. უცხოენოვანი დოკუმენტაცია უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული;					
განცხადების წარმოდგენის ვადები:	პროექტების წარმოდგენის ვადა - 01 მარტიდან 01 აპრილამდე.					

დაფინანსება	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება ერთ პროექტზე არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს ; თანხის ჩარიცხვა განხორციელდება კანონმდებლო დადგენილი წესის შესაბამისად; ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების საკითხის გადაწყვეტა ხდება ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული პროექტის არსებითად და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. პროგრამის ადმინისტრირებას და კონტროლს უზრუნველყოფს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის სასახური.
დამატებითი ინფორმაცია:	1. პროექტის ავტორი ვალდებულია წარადგინოს დაფინანსების შემთხვევაში თანხის მიზნობრივი გახარჯვის დოკუმენტაცია. 2. ახალგაზრდული პროექტების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2.5-ზე მეტი განაცხადისწარმოდგენის შემთხვევაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით შეიქმნება კომისია, რომელიც იმსჯელებს გამარჯვებულის გამოსავლენად.

3.5 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შედეგებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,862,930	2,883,310	2,887,420	2,886,920
06 01	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	1,561,050	1,764,030	1,853,140	1,852,640
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	9,000	11,500	11,500	11,500
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	85,200	88,800	177,600	177,600
06 01 04	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	300,000	480,000	480,000	480,000

06 01 05	ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	526,850	543,730	544,040	543,540
06 01 07	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	640,000	640,000	640,000	640,000
06 02	სოციალური დაცვის ღონისძიებები	1,301,880	1,119,280	1,034,280	1,034,280
06 02 01	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	65,000	70,000	70,000	70,000
06 02 02	გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	40,000	40,000	40,000	40,000
06 02 04	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	15,280	15,280	15,280	15,280
06 02 05	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება	8,000	8,000	8,000	8,000
06 02 07	დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება	110,000	110,000	110,000	110,000
06 02 11	მუნიციპალური უფასო სასადილო	250,000	250,000	250,000	250,000
06 02 14	ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	30,000	40,000	50,000	50,000
06 02 15	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	50,000	50,000	55,000	55,000
06 02 16	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	33,600	36,000	36,000	36,000

06 02 17	მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა	200,000	300,000	300,000	300,000
06 02 18	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	500,000	200,000	100,000	100,000
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,862,930	2,883,310	2,887,420	2,886,920
06 01	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	1,561,050	1,764,030	1,853,140	1,852,640
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	9,000	11,500	11,500	11,500
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	85,200	88,800	177,600	177,600
06 01 04	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	300,000	480,000	480,000	480,000
06 01 05	ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	526,850	543,730	544,040	543,540
06 01 07	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	640,000	640,000	640,000	640,000

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა				
06 01	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა				
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	პროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			1,561,05	1,754,07	1,843,92	1,843,67

<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია.</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის (უპირატესად მოწყვლადი კატეგორიის) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაძლებლობის შეზღუდვის რისკის შემცირება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის ქვეპროგრამები და ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება :</p> <p>სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება;</p> <p>თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის;</p> <p>იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება;</p> <p>ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია: ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება, დაავადების სტაბილიზაცია, გამწვავებებისა და რეცივიდების თავიდან აცილება.</p>

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა				
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			85,2	88,8	177,6	177,6
პროგრამის აღწერა	<p>მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, ვერ ხორციელდება მედიკამენტების უწყვეტად მიწოდება, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. ირღვევა საფეხურებრივი და უწყვეტი სამედიცინო მომსახურების პრინციპი, რის გამოც შეფერხებულია ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის შენარჩუნების შესაძლებლობა, რაც ხშირად ხდება პაციენტის მხრიდან ძალადობრივი ქცევის მიზეზად, როგორც საკუთარი თავის, ასევე ირგვლივ მყოფთა მიმართ.</p> <p>წარმოდგენილი მიზნობრივი ქვეპროგრამა განაპირობებს მძიმე ფსიკური აშლილობის მქონე პირთა ჩართულობას ფსიქიატრიულ სერვისებში, ასევე ხელს შეუწყობს პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 50 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლოგისური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.</p>					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნე	<p>მძიმე ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა ჩართვა ფსიქიატრიულ სერვისებში, პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება</p>					

ლი შედეგი	
-----------	--

N	დამატებითი ინფორმაცია
	<p>ა) საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შესყიდვები:</p> <p>შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.</p> <p>ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:</p> <p>მატერიალური რესურსის გაცემა მოხდება მუნიციპალიტეტის მერიასა და მომწოდებელს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.</p> <p>დაფინანსება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფინანსების დამტკიცებული მოცულობისა. მერიის მხრიდან მონიტორინგს განახორციელებს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. მონიტორინგის ძირითადი მიმართულებებია: ბრიგადის გასვლათა რაოდენობა და წარმოებული დოკუმენტაცია.</p> <p>გ) ქვეპროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და შერჩევის წესი:</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მობილური გუნდის მომსახურებით ისარგებლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული განსაზღვრული ნოზოლოგიების მქონე მოზრდილები და ბავშვები. ბენეფიციართა შერჩევა წარმოადგენს მობილური გუნდის პრეროგატივას.</p> <p>ყოველთვიურად ბინაზე ამბულატორიული მომსახურება გაეწევა 50 პაციენტს.</p>

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა				
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება
			ათას ლარში	ათას ლარში	ათას ლარში	ათას ლარში
			9,0	11,5	11,5	11,5
პროგრამის აღწერა	<p>ფენილკეტონურია წარმოადგენს თანდაყოლილ იშვიათ გენეტიკურ დაავადებას, რომელიც დაკავშირებულია ამინომჟავების ცვლის დარღვევებთან და იწვევს ც.ნ.ს.-ისა და სხვა შინაგანი ორგანოების ღრმა დაზიანებას. ამ დაავადების მქონე პირები მთელი ცხოვრების მანძილზე საჭიროებენ დიეტოთერაპიას; კვებას კაზეინის ჰიდროლიზატის შემცველი ნარევებითა და მკურნალობას სხვადასხვა მედიკამენტებით, 18 წლამდე ასაკის ბავშვები ფედერალური პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად მარაგდებიან მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირები, არ სარგებლობენ შეღავათებით.</p> <p>გლუტეინის ავადმყოფობა (ცელიაკია) ქრონიკული დაავადებაა, რომელსაც იწვევს საკვებში შემავალი გლუტეინის პეპტიდები. ავადმყოფებს ესაჭიროებათ მუდმივი დიეტოთერაპია.</p> <p>აღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონური დაავადებულ 2 ბენეფიციარს 2000 ლარის ოდენობით, 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონური დაავადებულ 3 ბენეფიციარს 1000 ლარის ოდენობით. 18 წლის ზემოთ ასაკის გლუტეინის ავადმყოფობით, ცელიაკით დაავადებულ 4</p>					

	ბენეფიციარს 500 ლარის ოდენობით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	იშვიათი დაავადების მქონე პირთათვის მატერიალური დახმარების გაწევა

N	ლონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	სხვა
1	18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (3 ბენეფიციარი)	ბენეფიციარი	3	1000	3000	3000	
2	18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (2 ბენეფიციარი)	ბენეფიციარი	2	2000	4000	4000	
3	18 წლის ზემოთ ასაკის ცელიაკით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (4 ბენეფიციარი)	ბენეფიციარი	4	500	2000	2000	
					9000	9000	0

N	დამატებითი ინფორმაცია
	<p>ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:</p> <p>ბენეფიციარი მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს განცხადებით ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან/და მერის მოადგილის რეზოლუციით შედის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში, სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა, რის შემდეგაც სამსახურში მიმართავს მერს ერთჯერადი დახმარების გაცემის თაობაზე. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერს ბრძანება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.</p>

	<p>ბ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:</p> <p>ქვეპროგრამით ისარგებლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული ფენილკეტონური და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკით) დაავადებული ყველა პირი, რომელიც წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობა, თუ ბენეფიციარი ბავშვია (არასრულწლოვანია) დაბადების მოწმობა და მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობის ასლი; 3. სამედიცინო ფორმა № IV-100/ა (დედანი); 4. საბანკო რეკვიზიტი; 5. საინფორმაციო ბარათი ან არასრულწლოვანის შემთხვევაში არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი; <p>ბენეფიციართა დაყოფა საპროგნოზო ხასიათს ატარებს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მუხლიდან მუხლში თანხის გადატანა.</p>
--	---

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა				
06 01 04	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			300,0	480,0	480,0	480,0
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სამედიცინო მომსახურება, რომელიც ნაწილობრივ ან არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით. დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით.</p> <p>ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციებით ასევე დაფინანსდება 2021 წლის დეკემბერში და 2022 წლის განმავლობაში წარმოშობილი ვალდებულებები, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული იურიდიული დოკუმენტით.</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით; შშმ პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილი); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები - სოციალური ქულით შეზღუდვის გარეშე; 2) 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები; 3) სარეიტინგო ქულის არმქონე ბენეფიციარები; 					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.</p>					

N	დამატებითი ინფორმაცია
	<p>ქვეპროგრამით ისარგებლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები.</p> <p>დაფინანსების წესი:</p> <ul style="list-style-type: none"> - პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით; შშმ პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილი); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტიშვილი) ოჯახის წევრები; ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები და 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებისსამედიცინო მომსახურება დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით შემდეგი პრინციპით: მკურნალობის ღირებულება _ 100%-ით, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა ერთჯერადი განაცემი და არაუმეტეს 1000 ლარისა წლის განმავლობაში. - სარეიტინგო ქულის არმქონე ბენეფიციარებს სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება ფაქტიური ხარჯის 80%, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა ერთჯერადი განაცემი და არაუმეტეს 500 ლარისა წლის განმავლობაში. გადაწყვეტილებას აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების მკურნალობის დაფინანსების შესახებ ლეგლობს შესაბამისი კომისია, (შემდეგ- კომისია) რომლის შემადგენლობა განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. <p>ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა; ამბულატორიული მკურნალობისათვის მედიკამენტების ხარჯები; ბ) საზღვარგარეთ გასაწვევი/გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; გ) სანატორიულ-კურორტული მკურნალობა; დ) ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა; ე) ნებისმიერი სახის გენეტიკური გამოკვლევები, მეტაბოლური დარღვევების სკრინინგი და ამბულატორიულად ჩატარებული სისხლის, შარდის, განავლის ნებისმიერი სახის კლინიკო-დიაგნოსტიკური და ბაქტერიოლოგიური კვლევები, ალერგიული ტესტები; ვ) სექსუალური დარღვევების, უმვილობის მკურნალობის (მათ შორის ხელოვნური განაყოფიერების) ხარჯები; ზ) აივ-ინფექციის/შიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტიბიოტიკულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; თ) თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაზავების, კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებული ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, ასევე ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; ი) ორგანოთა ტრანსპლანტაციის ხარჯები; (გარდა საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჩატარებული ღვიძლის, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედის) და თვალის რქოვქნა გარსის ტრანსპლანტაციის დაფინანსებისა); კ) ეგზოპროტეზირების ხარჯები; ლ) ბარიატრიული(სიმსუქნის გამო) ოპერაციები უჭუზე (ოპერაციები ჭარბი წონის დროს); მ) ნებისმიერი სახის სტომატოლოგიური (თერაპიული, ქირურგიული, ორთოპედიული და სხვა) მკურნალობა, გარდა 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისა, რომლებსთვისაც ძირითადი დაავადებიდან გამომდინარე პირის ღრუს სანაჯის ჩატარებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ზოგადი ანესთეზია; ნ) ინტრაოკულარული ინექციები გარდა შშმ პირებისა და 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე პირებისა, რომელთაც აღნიშნულის მიზნით დაუფინანსდება წელიწადში არაუმეტეს 500 ლარის ღირებულების მომსახურება; ო) ექიმის კონსულტაცია; <p>პ) მომსახურება, რომლის ღირებულება არ აღემატება 100 ლარს.</p> <p>ქვეპროგრამაში ჩასართავად საჭირო დოკუმენტაცია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განცხადება; 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; 3. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, სარეიტინგო ქულა; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა; 5. სამედიცინო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა; 6. საყოველთაო ჯანდაცვის ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული

<p>მიმართვა (ვაუჩერი) მის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მითითებით (საჭიროების შემთხვევაში);</p> <p>7. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი (საჭიროების შემთხვევაში);</p> <p>8. ბენეფიციარის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია (ვეტერანის მოწმობის ასლი/ შშმ სტატუსის მქონე პირთათვის ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან და ა.შ.) საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>9. საინფორმაციო ბარათი.</p>
--

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა				
06 01 05	ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი"	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			526,85	533,77	534,82	534,57

<p>პროგრამის აღწერა</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გახდა</p> <ol style="list-style-type: none"> პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა-კომუნალური და გათბობის ხარჯების გადახდა; ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით; ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება: მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა. მონყველადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა: <p>ა) 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით; კერძოდ, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და შესაბამისად მოვლის საშუალებებს, რაც დასტურდება ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტი ფორმა - №IV- 100/ა).</p> <p>ბ) მგრძობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, ნაწოლებისაგან დამცავი ბალიში, რომელიც „ტეტრაპარეზი“-ს, მგრძობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომელთაც აქვთ „კვადრიპლეგია“(ოთხივე კიდურის დამბლა).</p> <p>გ) სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება ოჯახს უწყდება 1 წლის ასაკის შესრულების მომდევნო თვიდან.</p>

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების, მათ შორის მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა;</p> <p>ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით, მოვლის საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან მოვლის და დამხმარე საშუალებებით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახები ბავშვის შეძენისას მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით.</p>

N	ღონისძიების დასახელება	პროდუქტები			სულ (ლარი)	მათ შორის:	
		განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი		საბიუჯეტო სახსრები	სხვა
	ადმინისტრირება და მართვა				31800	31800	
	შრომის ანაზღაურება		5	6450	31800	31800	
	ოფისის ხარჯები				27 780		
	საკანცელარიო მასალების შეძენა					1 000	
	კომპიუტერული პროგრამის შეძენის და განახლების ხარჯი		13	360	4680	4680	
	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და განახლების ხარჯი				500	500	
	შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის რემონტის ხარჯი				3000	3000	
	საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯი				3000	3000	
	კავშირგაბმულობა (ტელეფონი, ინტერნეტი)		4	150	600	600	
	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 ჯანდაცვის ცენტრისათვის კომუნალური ხარჯის დაფარვა (ელექტროენერგია ან/და ბუნებრივი აირი)		29	517,24	15000	15000	
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება				8970	8970	
	არაფინანსური აქტივები		4	675	2700	2700	
	შენობა-ნაგებობები		4	50	200	200	
	კომპიუტერის შეძენა		1	2500	2500	2500	
	პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა				46800	46800	
	მძღოლების ხელფასით უზრუნველყოფა		13	3600	46800	46800	
	სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯებით უზრუნველყოფა	ავტომანქანა	13	5 830	75800	75800	
	საწვავის შეძენა				46800	46800	
	მიმდინარე რემონტის ხარჯი				29000	29000	
1	ადგილზე ექიმადელი სამედიცინო				163000	163000	

	დახმარების ორგანიზება					
2	ექიმამდელი სამედიცინო დახმარების 29 პუნქტის მედდების ხელფასით უზრუნველყოფა		4 6	250	138000	138000
3	ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პუნქტების მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით უზრუნველყოფა		2 9	483	25000	25000
4	მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა				170000	170000
	0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბენეფიციარები		2 2 2	400	88800	88800
	მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მგრძობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირები		1 0	120	1200	1200
	0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები, რომელთაც შეეძინებათ ახალშობილი		2 0 0	400	8000	8000
	სულ:				526850	526850
						0

N	დამატებითი ინფორმაცია
	<p>ა) საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შესყიდვები:</p> <ol style="list-style-type: none"> შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის, 3¹ პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. <p>ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:</p> <p>ელექტროენერჯის და მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადის დაფარვა მოხდება ყოველთვიურად, „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ წარმოდგენილი მრიცხველის მონაცემების მიხედვით, არაუმეტეს პროგრამით გათვალისწინებული ოდენობისა.</p> <p>გაწეულ მომსახურებაზე დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ-სა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით.</p> <p>გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პირველადი ჯანდაცვის ცენტრები და ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პუნქტები, მათში მომუშავე პერსონალი.</p> <p>ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში ცალკეულ პუნქტებს შორის თანხების გადანაწილება (დაზუსტება) შეიძლება განხორციელდეს ფაქტიური მოთხოვნებიდან გამომდინარე.</p> <p>ქვეპროგრამის ბენეფიციარად განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 150 000-მდე სარეიტინგი ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირები; მგრძობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირები; ასევე ოჯახები, რომლებიც ახალშობილის შეძენის მომენტისათვის დარეგისტრირებული არიან</p>

სოციალური მომსახურების სააგენტოს ქობულეთის ფილიალში 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულით.

გ) ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით წარმოსადგენი საბუთების ნუსხა.

პირველი ღონისძიების შემთხვევაში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი საბუთი;
3. კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
4. კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი ან ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილი;
5. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ;
6. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა - №IV- 100/ა);
7. შშმ პირის ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან;
8. საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტაცია.

მეორე ღონისძიების შემთხვევაში - მგრძობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი საბუთი;
3. კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი;
4. კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი ან ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილი;
5. შშმ პირის ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან;
6. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა - №IV- 100/ა);
7. საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტაცია.

მესამე ღონისძიების შემთხვევაში - სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
3. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
4. არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;
5. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი არ არის რეგისტრირებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცნობა შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან, რომ ანალოგიური პროგრამით არ უსარგებლია;
6. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ;
7. საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტაცია.

შენიშვნა:

ქვეპროგრამაში ბენეფიციარების ჩართვის რიგობრიობა განისაზღვრება განცხადების რეგისტრაციის თარიღის

<p>შესაბამისად.</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი.</p> <p>შემოსული განცხადების განხილვის შემდეგ, ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სოციალური ვაუჩერი.სადაც მითითებულია ბენეფიციარის პირადი ნომერი, მისამართი და თანხა. ვაუჩერი გაიცემა კვარტალში ერთჯერ. შესაბამისად, ბენეფიციარი საფთვითა და დაწესებულებაში ქვეპროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებს კვარტალში ერთჯერ. (ქვეპროგრამის ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მოვლის საშუალებები/ბავშვთა კვება არა უმეტეს 50 ლარის ღირებულებისა თვის განმავლობაში).</p> <p>დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრსა“ და მომსახურე კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.</p>

ქვეპროგრამის კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა				
06 01 07	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			640,0	640,0	640,0	640,0
პროგრამის აღწერა	<p>საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა Covid-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტების მიწოდება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მოწყვლადი ოჯახებისათვის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები - რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.</p> <p>ქვეპროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, შშმპირი/ ვეტერანი მათ მიეცემათ ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.</p>					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. დაავადებულთა გართულებების თავიდან აცილება. მედიკამენტებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი.</p>					

N	დამატებითი ინფორმაცია
1	ქვეპროგრამით ისარგებლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

